თანამედროვე ქალაქებში, გადატვირთულობის სირთულეები გადაიჭრება ორი გზით: არსებულ ქუჩებზე მოძრაობის ორგანიზაციით და ქსელის რეკონსტრუქციით, რომელიც თავისი ფუნქციონალური ნიშანთვისებებით ყოფს სატრანსპორტო ნაკადს. სატრანსპორტო ნაკადის ქვეითთა ნაკადისაგან გამოცალკავება უზრუნველყოფს ქუჩების მაღალ გამტარუნარიანობა

ასევე რეკომენდირებულია საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყოფა შესაბამისი ქუჩის სატრანსპორტო პარამეტრების გათვალისწინებით.


ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვთქვათ, რომ ქალაქმშენებლობის განვითარებაზე, ასევე უდიდეს ზეგავლენას ახდენს საქალაქო საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და მისი თანმდევი ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობა.

შესაბამისად, ქალაქის მობინადრეთა ცხოვრების პირობებზე, უსაფრთხოების ნორმატივების გათვალისწინებით, მათ კომფორტულ ტრანსპორტაბელურობაზე ზეგავლენას ახდენს სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადების გამართული, რეგულირებული გადაადგილება, მოძრაობის სიჩქარე, ავტომობილების პარკინგი და გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობა.

დაგეგმილი პროექტისა და მიმდებარე ტერიტორიის დადებითი მხარეები

- პროექტით იგეგმება მიმდებარე ქუჩის ნაწილის მოწესრიგება, დადგენილი პარამეტრებისა და ნორმების შესაბამისად
- საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე ქუჩებზე საკვლევ არეალში შესწავლის შედეგად გამოვლინდა რომ ტროტუარებზე არ გვხვდება ქვეითთა გადატვირთული მოძრაობა (არც მოძრაობაა ინტენსიური) და რაც მთავარია ტროტუარების არსებული პარამეტრები აკმაყოფილებს ფეხითმოსიარულეთა მოთხოვნებს უსაფრთხოდ გადასადგილებლად (ტროტუარების სიგანე 1,5 მეტრზე მეტია და კონსტრუქციულად გამოყოფილია სამანქანე სავალი ნაწილისგან)
- აღსანიშნავია, რომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული სარეკრეაციო სივრცეებისა და ყველა საჭირო, საყოფაცხოვრებო ფუნქციის ობიექტების არსებობიდან გამომდინარე მიმდებარე ტერიტორიებზე პოპულარულია ფეხით გადაადგილება, რაც მგზავრთა გადაადგილების მოდალურ განაწილებაზე დადებითად მოქმედებს.
- დაგეგმილი ფუნქცია და ინტენსივობა საპროექტო ტერიტორიის ლოკაციისთვის პერსპექტიულია


საპროექტო ტერიტორიის ლოკაცია და საკვლევი არეალი



საქვეითე და სამანქანე ინფრასტრუქტურის ზოგადი აღწერა და რეკომენდაციები


საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული საქვეითე ინფრასტრუქტურის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ტერიტორიის მიმდებარე გზის ძირითად ნაწილს ტროტუარი გააჩნია თუმცა შეიცავს სარეაბილიტაციო და ყურადღება მისაქცევ მონაკვეთებს. ქუჩაზე ქვეითი უსაფრთხოდ გადაადგილდება. ასევე აღსანიშნავია რომ საქვეითო, ასევე სამანქანო მოძრაობის დაბალი ინტენსივობის გამო ყველასახის მოძრაობა ხორციელდება უსაფრთხოდ და შეუფერხებლად. ქვეითთათვის მხოლოდ მცირე შეფერხებებით, რასაც ძირითადად არარეგულირებული პარკირებები ქმნის.

ტერიტორიის მიმდებარე მთავარი გამტარი გზა / აღმაშენებლის ქუჩა (საკვლევი ნაწილი)





აღმშენებლის და მესხიშვილის ქუჩის კვანძი/ გზაჯვარედინი



კვანძზე მოძრაობა ხორციელდება ძირითადად დაუტვირთავად. უფრო მოწესრიგებულად არის დასარეგულირებელი საგზაო ნიშნებით და ჰორიზონტალური მონიშვნით. ქვეითათვის გადასასვლელი მოსანიშნია, ხოლო არსებული გასანახლებელია (ზებრა მონიშვნა) და დასამონტაჟებელია საქვეითე გადასასვლელის ნიშნებით. კვანძს საჭირო პერიმეტრზე არასრულად გააჩნია საქვეითე ბილიკი და რეკომენდირებულია უახლოეს მომავალში მათი ბარიერებიანი მონაკვეთების რეაბილიტაცია. ჰორიზონტალური მონიშვნები გასანახლებელია. კვანძთან მრავლად გვხვდება არარეგულირებული პარკირება და რეკომენდირებულია უახლოეს მომავალში მათი რეგულირება.


კვანძზე დაკვირვება განხორციელდა კვირის სამუშაო დღეს და შაბათ დღეს. დღის განმავლობაში რაიმე მნიშვნელოვანი დატვირთულობა არ აღინიშნა. ასევე რაიმე გადატვირთულობა არ აღნიშნულა საღამო პიკის საათის პერიოდშიც.










დ აღმაშენებლის ქუჩა (საკვლევ ნაწილი)

N	მითითება	მახასიათებლები	კომენტარი
1	მოძრაობის მიმართულება	ორმხრივი	
2	ზოლების რაოდენობა	1-1	
3	ქუჩის სიგრძე	2200 მეტრი	
4	სავალი ნაწილის სიგანე	13 მეტრი (საშ.)	
5	რეგულირებადი სიჩქარე კმ/სთ	50; 30;	
6	გზის საფარის მდგომარეობა	დამაკმაყოფილებელი	ასფალტის ზედაპირი
7	ტროტუარი	კი	
8	ტროტუარის სიგანე	1,8 – 4 (საშ.) მ.	
9	ტროტუარის საფარის მდგომარეობა	დამაკმაყოფილებელი	შეიცავს სარეაბილიტაციო/მოსაწყობ მონაკვეთებს
10	პარკირება	საკვლევ ნაწილში არა	არარეგულირებული პარკირება
11	საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები	კი	
12	ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა	კი	
13	საგზაო ნიშნები	კი	
14	შუქნიშნის ობიექტი	კი	
15	ავტობუსის ზოლი	არა	
16	ქვეითთა კონსტრუქციული გადასასვლელი (ხიდი)	არა	
17	ველო ბილიკი	კი	

საქვეითე ინვენტარიზაციის რუკა



- | | |
|---|--|
|  არსებული გადასასვლელი "ზებრა" |  არსებული ძველითა ბილიკი (ტროტუარი) |
|  რეკონსტრუირებული გადასასვლელი "ზებრა" |  ტროტუარი სარეაბილიტაციო |
|  ველობილიკი |  ტროტუარი არ არის |
| |  სახ. ტრანსპორტის განჩენა |

საგზაო ინფრასტრუქტურის კვლევა და შეფერხებები

განისაზღვრა საპროექტო არეალიდან გამომსვლელი და შემსვლელი ქვეითთა სავარაუდო გადაადგილდების სქემა მიმდებარედ და ავტობუსის გაჩერებამდე, როგორც ზემოთ მოცემულ ინვენტარიზაციის რუკაზეა ნაჩვენები. შესაბამისად ქვეითი ავტობუსის გაჩერებამდე უსაფრთხოდ გადაადგილდება.

საკვლევი ქუჩის სამანქანო სავალი ნაწილი მოასფალტებულია და მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ძირითად ნაწილზე გზის ორივე მხარეს გვხვდება ტროტუარები.

რეკომენდირებულია ტროტუარების რეაბილიტაცია გზის ნაწილზე, რაც განაშენიანების ზრდასთან ერთად მოეწყო. ყურადღება მისაქცევი და მოსაწყესრიგებელია უახლოესი საკვლევი კვანძი (აღმაშენებლისა და მესხიშვილის ქუჩის კვანძი). ვინაიდან საკვლევ არეალზე მრავლად გვხვდება სამანქანო შეჭრები ტროტუარის გავლით ასევე არარეგულირებული პარკირებები, ეს შემაფერხებელ გარემოებას ქმნის და ზიანდება არსებული საქვეითე ნაწილი.

მიმდებარე გზებზე მოწყობილია ძირითადი საგზაო ნიშნები და სამომავლოდ მოსაწყობი იქნება სრულად. საპარკინგე ადგილები მოსანიშნია შესაბამისი საგზაო ნიშნით (მოსანიშნია ჰორიზონტალური მონიშვნით და დგარით). გვხვდება არარეგულირებული პარკირება. ასევე რამოდენიმე ადგილზე წაშლილია და გასანახლებელია ქვეითთა გადასასვლელის „ზებრა“ მონიშვნა. ასევე რეკომენდირებულია სამანქანო სავალ ნაწილზე ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნების მონიშვნა/განახლება.

ქუჩაზე ტროტუარების მცირე მონაკვეთებზე აღინიშნა ზედაპირის დაზიანება (საჭიროებს რეაბილიტაციას). მიმდებარე მიწის ნაკვეთების ან/და ობიექტების შესასვლელებზე რეკომენდირებულია ზებრა გადასასვლელების მონიშვნა, ასევე საქვეითე ინფრასტრუქტურა სრულად ადაფტირდეს შშმ პირთათვის. რეკომენდირებულია მიმდებარე მიწის ნაკვეთების ან/და ობიექტების სამანქანო შესასვლელ/გამოსასვლელების სიგანისთვის განისაზღვროს არანაკლებ 3,5 და არაუმეტეს 6 მეტრი. ქვეითთა უსაფრთხოდ გადასადგილებლად მნიშვნელოვანია, რომ ის ძირითადად გადაადგილდებოდეს კონსტრუქციულად გამოყოფილ ტროტუარზე და რამდენადაც შესაძლებელია, ნაკლები მანძილის დაფარვა უწევდეს სამანქანო სავალი ნაწილის, სამანქანო შესასვლელ/გამოსასვლელების გადაკვეთისას. მნიშვნელოვანია რომ ნებისმიერი საქვეითე გადაკვეთის ლოკაციის შესახებ გაფრთხილდეს გადამკვეთი სამანქანო ნაკადი შესაბამისი საგზაო ნიშნებით.

შეფერხებები ბარიერები

არარეგულირებული პარკირება:







დაზიანებული ზედაპირი/ სარეაბილიტაციო /მოსაწყობი საქვეითე ნაწილი






საპროექტო ტერიტორიიდან სივრცითი დაფარვის იზოქრონული რუკები საქვეითე და საავტომობილო გადაადგილებებისთვის დაფარვის დროების მიხედვით

- 
 საქვეითე გადაადგილება - დაფარვის დრო 5-10 >> 10-20 >> 20-30 წთ





საველოსიპედო გადაადგილება - დაფარვის დრო 5-15 >>15-25 >>25- 40 წთ



სამანქანო მოძრაობის ზოგადი აღწერა და რეკომენდაციები


აღმაშენებლის ქუჩა წარმოადგენს საერთო სარგებლობის, ადგილობრივი მნიშვნელობის, ძირითადი გზების დამაკავშირებელ საავტომობილო გზას. სავალი ნაწილის ზედაპირი მოასფალტებულია და ზედაპირის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა უახლოეს მომავალში რეკომენდირებულია რამოდენიმე მონაკვეთზე ზედაპირის განახლება.



მოძრაობა ორმხრივია და თითოეული მიმართულებისთვის განსაზღვრულია 1 სამოძრაო ზოლი, დამატებით გასწრების/გვერდის ავლის სივრცის შესაძლებლობით. სამანქანო სავალი ნაწილის საშუალო სიგანეა 13 მეტრი. ფაქტობრივი მდგომარეობით საკვლევი გზის მონაკვეთზე მხოლოდ მცირე ნაწილზე გვხვდება სარეაბილიტაციო/მოსაწყობი საქვეითე სავალი ნაწილი. ქუჩას გააჩნია რესურსი, სამომავლოდ, სრულყოფილი საქვეითე ინფრასტრუქტურის მოსაწყობად.

გზაზე განსაზღვრულია ჰორიზონტალური მონიშვნები და დასამონტაჟებელია საგზაო ნიშნები სრულად. სამანქანო სავალი ნაწილის პარამეტრებიდან გამომდინარე, ხასიათდება კარგი გამტარუნარიანობით და შესაძლებელია მაქსიმალური სიჩქარე ქალაქის პირობებისთვის ნებადართული არაუმეტეს - 50კმ/სთ. განისაზღვროს. ქუჩაზე სამანქანო გადაადგილება მიმდინარეობს თავისუფლად და არ აღინიშნება რაიმე სამანქანო გადატვირთულობა. მცირე შეფერხებებს ქმნის არარეგულირებული პარკირებები, რაც სამომავლოდ შესაძლებელია მარტივად დარეგულირდეს.

საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისაწვდომობა და მომსახურება



- |||| არსებული გადასასვლელი "ზეპრა"
- |||| რეკომენდირებული გადასასვლელი "ზეპრა"
- ველობილიკი
- არსებული ძველითა ბილიკი (ტროტუარი)
- ტროტუარი სარეაბილიტაცია
- ტროტუარი არ არის
- 📍 საზ. ტრანსპორტის ბაჩმარება

გეგმარებით ერთეულზე საკვლევი საამშენებლო ობიექტი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურებით. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, ტერიტორიის სიახლოვეს, საფეხმავლო მისაწვდომობის ფარგლებში (70-დან 100 მ.-მდე) მდებარეობს საზ. ტრანსპორტის გაჩერებები, სადაც ავტობუსები მოძრაობენ საშუალო დატვირთვულობით. მარშრუტების გადახედვის შედეგად ირკვევა, რომ მგზავრებს შეუძლიათ ყველა საჭირო მიზიდვის ობიექტამდე უპრობლემოდ გადაადგილება ზედმეტი გადაჯდომების გარეშე. მუნიციპალური ავტობუსები ასრულებენ რეგულარულ რეისებს დადგენილი გრაფიკების მიხედვით შემდეგ მარშრუტებზე: N5; N6; ... აღნიშნული ნომრის ავტობუსებს შორის ინტერვალი მერყეობს საშუალოდ 12– დან–40 წუთამდე. საერთო ჯამში გააჩნიათ საკმარისი სარეზერვო რესურსი მგზავრების მოსამსახურებლად.

მარშრუტები ფარავს მთლიანად ქალაქის არეალს და გააჩნიათ რეზერვი.

ავტობუსის გაჩერებები საკვლევ ლოკაციაზე (ორივე მიმართულება)



რუსთავის ავტობუსების მარშრუტები


ამ ეტაპისთვის, ქალაქში არსებულ 7 მარშრუტზე მოძრაობს 40 ერთეული მუნიციპალური ავტობუსი. ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, რუსთაველებს 35, შაბათს 28, ხოლო კვირას 26 ავტობუსი ემსახურება.

მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობის განრიგი:

- დილის 06:22 სთ – დან საღამოს 22: 46 სთ-მდე
- ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, მარშრუტებს შორის ინტერვალი შეადგენს 15 წუთს. პირველი ავტობუსი გადის 06:22 საათზე, ბოლო ავტობუსი ავტოფარეხში ბრუნდება 22:46 საათზე.
- დასვენების დღეებში, შაბათ-კვირას, მე-12 მიკრორაიონში, წმინდა ნიკოლოზის სახ. ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიიდან რუსთაველებს ქალაქის სასაფლაოების მიმართულებით, მუნიციპალური ტრანსპორტი უფასოდ ემსახურება. ავტობუსები მე-12 მიკრორაიონიდან 09:00, 12:00 და 16:00 საათზე გადიან, სასაფლაოს ტერიტორიიდან ქალაქის მიმართულებით კი 10:00, 13:00 და 17:00 საათზე.

მუნიციპალური ავტობუსების შიდა საქალაქო მარშრუტები:

მარშრუტი №1 მშენებელთა ქუჩა-ფიროსმანის ქუჩა-კოსტავას-გამზირი-მეგობრობის გამზირი-შარტავას გამზირი-ქუთისის ქუჩა-ლეონიძის ქუჩა-მესხიშვილის ქუჩა-თოდრიას-ქუჩა-კლდიაშვილის ქუჩა-მეგობრობის გამზირი-კოსტავას გამზირი-ფიროსმანის ქუჩა-მშენებელთა ქუჩა




მარშრუტი №4

მეტ.კომბინატი-კოსტავას გამზირი-მეგობრობის გამზირი-კლდიაშვილის ქუჩა-თოდრიას ქუჩა-მესხიშვილის ქუჩა-შარტავას გამზირი-ქუთაისის ქუჩა-ლეონიძის ქუჩა-მოდებაძის ქუჩა-აღმაშენებლის გამზირი-მე12 მკ/რ-მესხიშვილის ქუჩა-თოდრიას ქუჩა-კლდიაშვილის ქუჩა-მეგობრობის ქუჩა-კოსტავას გამზირი-რუსთაველის ქუჩა-დავით გარეჯის-ქუჩა-გაგარინის ქუჩა

მარშრუტი №5

მეტ. კომბინატი-კოსტავას ქუჩა-თბილისის ქუჩა-ფალიაშვილის ქუჩა-მელიქიშვილის ქუჩა-ლომთურის ქუჩა-შარტავას გამზირი-ჩერკასის ქუჩა-მოდებაძის ქუჩა-აღმაშენებლის გამზირი-სანაპიროს ქუჩა-კუშკინის ქუჩა-კაპანაძის ქუჩა-ლეონიძის ქუჩა-ჩერკასის ქუჩა-შარტავას გამზირი-ლომთურის ქუჩა-მელიქიშვილის ქუჩა-ფალიაშვილის ქუჩა-თბილისის ქუჩა-კოსტავას გამზირი-მეტ. კომბინატი



მარშრუტი № 7

რჩულიშვილის ქუჩა-გიორგაძის ქუჩა-სამგორის ქუჩა-მაზნიაშვილის ქუჩა-ზედგინიძის ქუჩა-ჯავახიშვილის ქუჩა-გაგარინის ქუჩა-ბათუმის ქუჩა-რუსთაველის ქუჩა-კოსტავას გამზირი-მეგობრობის გამზირი-მესხიშვილის ქუჩა-ლეონიძის ქუჩა-ქუთაისის ქუჩა-შარტავას გამზირი-მეგობრობის გამზირი-კოსტავას გამზირი-ჭავჭავაძის ქუჩა-ბათუმის ქუჩა-გაგარინის ქუჩა-ჯავახიშვილის ქუჩა-ზედგინიძის ქუჩა-მაზნიაშვილის ქუჩა-გოგოლის ქუჩა-მცხეთის ქუჩა-რჩულიშვილის ქუჩა

შედეგები და რეკომენდაციები

საზოგადოებრივი ტრანსპორტის დატვირთულობის და ზოგადად მგზავრთნაკადის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ გამოკვლეულ გაჩერებებზე და მიმდებარე ქუჩებზე საზ. ტრანსპორტი მოძრაობს საშუალო დატვირთულობით. მნიშვნელოვანი გადატვირთულობები ტრანსპორტზე არ აღინიშნა

საზ ტრანსპორტის გაჩერებები 2 წუთის მისაწვდომ საფეხმავლო მანძილზეა (ტერიტორიის სიახლოვეს) და გენერირებული მგზავრობები ვერ მოახდენს რაიმე უარყოფით ზეგავლენას არსებულ რეზერვებზე, იმის გათვალისწინებით, რომ მისაწვდომ მანძილზე საპროექტო ტერიტორიას გააჩნია ასევე ალტერნატიული გაჩერებების ლოკაციებამდე წვდომის შესაძლებლობა საფეხმავლო ბილიკის გავლით.




მიმდებარე ქუჩების სამანქანო სავალი ნაწილი მოასფალტებულია და მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. განხილული, მისასვლელი გზების მცირე ნაწილზე რეკომენდირებულია ტროტუარების მოწყობა/რეაბილიტაცია. უნდა აღინიშნოს რომ მიმდებარე ტერიტორიებზე აქტიურად მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები, შესაბამისად აღნიშნული ტერიტორიების მიმდებარე საგზაო ინფრასტრუქტურაც განიხილება როგორც მშენებარე - რეაბილიტაციის პროცესში.

მიმდებარე მთავარ გზებზე ორივე მხარეს გვხვდება ტროტუარი; ძირითადად მოწყობილია საგზაო ნიშნები, საპარკინგე ადგილები მოსანიშნია. გვხვდება არარეგულირებული პარკირება, რეკომენდირებულია დგომის ამკრძალავი ნიშნების დამონტაჟება ყველა შესაბამის ადგილას. ასევე რამოდენიმე ადგილზე წაშლილია და გასანახლებელია/ მოსანიშნია ქვეითთა გადასასვლელის „ზებრა“ მონიშვნა. ასევე რეკომენდირებულია სამანქანო სავალ ნაწილზე ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნების მონიშვნა / განახლება.

პროექტის განხორციელების შემდგომ მოწესრიგდება და გაუმჯობესდება საპროექტო ნაწილში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მდგომარეობა. რეგულირებული იქნება პარკირება და მოწესრიგდება არსებული განაშენიანება ერთ ჯანსაღ სივრცეში.

მოსაწყობი რეკომენდირებული საქვეითე პანდუსების და ტროტუარის ტიპები

შშმ პირთათვის ალავტირებული პანდუსების რეკომენდირებული ნიშნუბები
(მომუხოს კონსტრუქციულად გამომყოფილ ტროტუარებთან, ნებისმიერ სავტრო მონაკვეთზე)



სტანდარტული ნიშნუბები

შეჯამება:

სამანქანე ინფრასტრუქტურა _ დამაკმაყოფილებელი

საქვეითე ინფრასტრუქტურა _ დამაკმაყოფილებელი

მიმდებარე გზაზე და კვანძებზე სამანქანე მოძრაობა _ მცირედ იტვირთება

ავტობუსები _ მისაწვდომია

საავტობუსე რეზერვები _ დამაკმაყოფილებელია

გენერირებული მგზავრობების რაოდენობა/სიხშირე _ ვერ მოახდენს რაიმე არსებით ზეგავლენას

არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე

გამოყენებული ლიტერატურა:

- შინამეურნეობების გადაადგილებების კვლევა (SYSTRA)
- საქართველოს კანონი საგზაო მოძრაობის შესახებ
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის დადგენილება, ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების შესახებ
- თბილისის შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის მონაცემთა ბაზა და ანგარიში <http://tbilisi.gov.ge/page/3218>



ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 332

30 ოქტომბერი 2024 წელი

ქალაქი რუსთავი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: ს/კ: 02.02.04.555) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის და „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის – გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N154 დადგენილების გათვალისწინებით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: ს/კ: 02.02.04.555) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია.
2. განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი მომზადდეს აღნიშნული კონცეფციის გათვალისწინებით.
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი რუსთავი, ბოსტან-ქალაქის №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ალექსანდრე ბერიძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი





ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის
არქიტექტურის სამსახური
G E O R G I A
ARCHITECTURE DEPARTMENT
OF RUSTAVI MUNICIPALITY CITY HALL



წერილის ნომერი: 05-3824305316
თარიღი: 31/10/2024

ადრესატი: გრიგოლი იმედაძე

პ

12

N3824267140-05 23.09.2024წ. განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 ოქტომბრის N332 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია.


კობა ძლიერიშვილი

არქიტექტურის სამსახური-პირველადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ქ. რუსთაველი



მე-12 მ/რ მიმდებარე ტერიტორია შემდეგი მიწის ნაკვეთი: მიწის (უმრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 02.02.04.555 (შემდგომში - ტერიტორია).

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ფინანსურ უზრუნველყოფას განახორციელებს დაინტერესებული პირი.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. დაინტერესებული პირი ვალდებულია:

3.1.1. საკუთარი რესურსებით შეიმუშაოს განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;

3.1.2. ამ პუნქტის 3.1.1 ქვეპუნქტში მითითებული დოკუმენტაცია მოამზადოს საქართველოს კანონმდებლობის და მერიის მიერ გაცემული დავალების გათვალისწინებით;

3.1.3. განაშენიანების დეტალურ გეგმასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების თითოეულ სტადიაზე, გეგმარებით ერთეულში, ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში საზოგადოებისათვის თვალსაჩინო ადგილას (საჯარო გზის მხარეს) დამატებით განათავსოს საინფორმაციო დაფა, რომელზედაც, სულ მცირე, უნდა განთავსდეს ინფორმაცია დასაგეგმარებელი ტერიტორიის საზღვრების, დაინტერესებული პირებისაგან მოსაზრებებისა და შეფასებების მიღების პერიოდისა და გეგმის დამტკიცების სავარაუდო ვადების შესახებ.

3.1.4. გაითვალისწინოს წარდგენილი შენიშვნები და მოსაზრებები ან სათანადოდ დაასაბუთოს მათი გაუთვალისწინებლობა;

3.1.5. ამ პუნქტის 3.1.1 ქვეპუნქტში განსაზღვრული დოკუმენტაცია წარადგინოს დავალებით გათვალისწინებულ ვადებში;

3.1.6. უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შესრულება.

3.2. დაინტერესებული პირი უფლებამოსილია:

3.2.1. მოითხოვოს განაშენიანების დეტალური გეგმის გეგმის პროექტის განხილვის უზრუნველყოფა.

3.2.2. განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

3.3. მერია ვალდებულია:

3.3.1. საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს განაშენიანების დეტალური გეგმის გეგმის პროექტის განხილვაში სხვა ადმინისტრაციული ორგანოების ჩართულობა;

3.3.2. განიხილოს დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი ამ მუხლის 3.1 პუნქტის 3.1.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია;

3.3.3. განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის განხილვასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, მის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნოს ინფორმაცია

გეგმის პროექტის შესახებ (გეგმის პროექტთან და მოსაზრებების/შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობის თაობაზე ინფორმაციასთან ერთად).

3.4. მერია უფლებამოსილია:

3.4.1. მოითხოვოს მერიის მიერ გაცემული დავალების შესაბამისად, დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენა;

3.4.2. მოითხოვოს დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციაში შესწორებების შეტანა.

3.4.3. განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

მუხლი 4. ვალდებულების შესრულების ეტაპები და ვადები

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით დაინტერესებულმა პირმა მერიაში უნდა წარადგინოს საბაზისო მონაცემები, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული დოკუმენტაცია (საჭიროების შემთხვევაში) და განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი.

4.2 ამ მუხლის 4.1. პუნქტით გათვალისწინებული დაინტერესებულმა პირმა უნდა წარადგინოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 (თორმეტი) თვის ვადაში.

მუხლი 5. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

5.1. ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს:

ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

ბ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში;

გ) ბრძანების ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

5.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობების შესრულებისაგან.

მუხლი 6. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვნად შესრულება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

6.2. მხარე, რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების მიზეზად ფორს-მაჟორი მოჰყავს, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ ფორს-მაჟორის მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოვლენის დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისმა მხარემ უნდა წარადგინოს ფორს-მაჟორის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, და დაასაბუთოს, რომ ფორს-მაჟორმა არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაში.

მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების ადგილი და ვადა

7.1. ხელშეკრულების შესრულების ადგილი არის ქ. რუსთავი, საქართველო.

7.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა არის ამ ხელშეკრულების 4.3. პუნქტით გათვალისწინებული ვადა.

მუხლი 8. სხვა პირობები

8.1. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

8.2. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

- 8.3. ხელშეკრულებაში შესატანი ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
- 8.4. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის მხარეს პირგასამტეხლო არ დაკისრება.
- 8.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად და დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპით.

მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 12 (თორმეტი) თვის ვადით.

მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია
კოსტავას გამზ. 20, 0160, ქ. რუსთავი



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
მერია
G E O R G I A
RUSTAVI CITY MUNICIPALITY CITY HALL



ბრძანება:ბ38. 382415888

თარიღი:06/06/2024

განცხადების ნომერი: 3824149361-05

განცხადების თარიღი: 28/05/2024

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

ორი გვერდის ინიცირება /

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 02.02.04.555) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია და მუნიციპალიტეტის მერიის (პ/ნ) კენილი დეტალური გეგმის შემუშავების შესაძლებლობის განხილვა და შესაბამისი დავალების გაცემა.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამ გამოიკვლია არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ განმცხადებლის დაინტერესებაში არსებული ტერიტორია ხვდება რუსთავის მუნიციპალიტეტის საზღვრებში, განაშენიანების ჩამოყალიბებულ სისტემაში.

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის – გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N154 დადგენილების დანართების შესაბამისად, გეგმარებითი ერთეული ხვდება საცხოვრებელ ზონა 3-ში (სზ-3).

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ დაგეგმვის ამოცანას წარმოადგენს კ-2 კოეფიციენტის გაზრდა 4.6-მდე, იქიდან გამომდინარე, რომ ტერიტორიაზე იგეგმება მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, ამ ბრძანების დანართი №1-ით გათვალისწინებულ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამუშავება, განონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი

E-MAIL: RUSTAVI.MUNICIPALITY@RUSTAVI.GOV.GE WEB: WWW.RUSTAVI.GOV.GE

ქალაქი რუსთავი, მეგობრობის გამზირი N 20ბ / 20B MEGOBROBA AVE, RUSTAVI, GEORGIA, 3700. TEL: 1300

გეგმების შემუშავების წესის მე-5, მე-7 და მე-8 მუხლების საფუძველზე და „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის – გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N154 დადგენილების გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. მიღებულ იქნეს დადებითი გადაწყვეტილება კერძო ინიციატივის საფუძველზე, ამ ბრძანების დანართი №1-ით განსაზღვრული გეგმარებითი ერთეულისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე, ამავე ბრძანების დანართი №2-ით გათვალისწინებულ განაშენიანების დეტალური გეგმის დავალების შესაბამისად.

3. განაშენიანების დეტალური გეგმა შემუშავებულ უნდა იქნეს ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 (თორმეტი) თვის ვადაში.

4. ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში განაშენიანების დეტალური გეგმის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ბრძანება, შესაბამისი თარიღიდან, ჩაითვალოს ძალადაკარგულად და შეწყვეტილ იქნეს ადმინისტრაციული ხელშეკრულება.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქუჩა N6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა გურული

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი





№ 0624-0982019

D 02.08.2024

ქ.თბილ

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში „კომპანია“) განიხილა თქვენი 2024 წლის 17 ივლისის IN24-0974763 განაცხადი ქ. რუსთავეში, XII მ/რ. მიმდებარე ტერიტორიაზე (ს/კ: 02.02.04.555) ასაშენებელი ნაგებობის კომუნიკაციებით უზრუნველყოფის შესახებ.

გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული ობიექტის სასმელი წყლით მომარაგება შესაძლებელია დავით აღმაშენებლის ქუჩაზე გამავალ DN700 მმ-იან ქსელზე დაერთებით, ხოლო წყალარინების ქსელის დაერთება შესაძლებელია დავით აღმაშენებლის ქუჩაზე თქვენსავე ნაკვეთის მიმდებარედ გამავალ DN500 მმ-იან ქსელზე.

დამატებით გაცნობებთ, რომ წყალსადენ-წყალარინების ქსელებზე მიერთებისათვის საჭიროა „კომპანიას“ მიმართოთ „საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ მიერ დამტკიცებული განაცხადით წყალმომარაგების სისტემაზე ახალი მიმხმარებლის მიერთების მოთხოვნის შესახებ.

პატივისცემით,



წყლის სინჯის ქიმიური ანალიზის შედეგი

საანალიზოდ გადმოცემული სინჯი აღებულია რუსთავში, XII მ/რ, კორპ. 21-ის (ს/კ 02.02.04.555) მიმდებარე ტერიტორიაზე გაყვანილი ჭაბურღილიდან 2.9 მეტრ სიღრმეზე.

საერთო მინერალიზაციის სიდიდით - $M = 4.93$ გ/ლ - სინჯი მლაშე, მარილიანი წყლების ($M > 3$ გ/ლ) კატეგორიას მიეკუთვნება. ქიმიური შედგენილობით სინჯი სულფატურ-ჰიდროკარბონატული ნატრიუმ-კალციუმიანია. წყალბად-იონების კონცენტრაციის მაჩვენებლით რეაქცია ნეიტრალურია ($pH = 6.71$).

აგრესიულობის თვალსაზრისით პორტლანდცემენტის მარკის ბეტონის მიმართ „ძლიერი“ აგრესიულობა ვლინდება წყალშეღწევადობის მიუხედავად. რკინა-ბეტონის კონსტრუქციის არმატურაზე გაანალიზებული წყლის სინჯის აგრესიული ზემოქმედება მუდმივად წყალში დასველების პირობებში ფასდება როგორც „არა“, ხოლო პერიოდული დასველებით - „საშუალო“. იმავე გარემოს აგრესიული ზემოქმედების ხარისხი ნახშირბადიან ფოლადზე, გრუნტის წყლის დონის დაბლა სამშენებლო ნორმების და წესების ინსტრუქციის მიხედვით ფასდება როგორც „საშუალო“.

შპს „წყალი და გრუნტი“ დირექტორი

მ. მარტაშვილი

ანალიტიკოსი

ლ. მარტაშვილი



საექსპერტო შეფასება

ანგარიში: ქ. რუსთავში, XII მიკრო/რაიონი, კორპ. №21-ის მიმდებარედ, მიწის ნაკვეთზე ს/კ 02.02.04.555, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია

კერძო პირის ლევან ვარდიაშვილის თხოვნით, ჩვენს მიერ 2024 წლის სექტემბერში შემოწმებული იქნა ქ. რუსთავში, XII მიკრო/რაიონი, კორპ. №21-ის მიმდებარედ, მიწის ნაკვეთზე ს/კ 02.02.04.555, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. რუსთავში, XII მიკრო/რაიონი, კორპ. №21-ის მიმდებარედ, მიწის ნაკვეთზე ს/კ 02.02.04.555, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოებისა და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია “გეო-ძიება 2013”-ის გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2024 წლის სექტემბერში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟინერ-გეოლოგი – გურამ იაშვილი. მის მიერ მოძიებული და დამუშავებულია არსებული ფონდური მასალა და წყაროები. ჩატარებულია სავსე სამუშაოები, გრუნტის ლაბორატორიული კვლევები შესრულებულია შპს “ჯიტი გეოლოგი”-ს ლაბორატორიაში ზ. შარვაძის, ხოლო წყლის, შპს “წყალი და გრუნტი”-ს ლაბორატორიაში, მ. მარდაშოვას მიერ.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი, აკრეფილი კომპიუტერზე 16 გვ;
2. ტექნიკური დავალება 2 გვ;
3. აეროფოტო..... 1 გვ;

4. გრუნტების ლაბორატორიული კვლევების შედეგები..... 5 გვ;
5. წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები 3 გვ;
6. ლითოლოგიური სვეტები 8 გვ;
7. გეოლოგიური ჭრილი 2 გვ;
8. ტოპოგეგმა შურფების ადგილმდებარეობის დატანით 1 გვ;
9. შენობის განთავსების სქემა 1 ფურც;
10. უბანზე ჩატარებული გეოფიზიკური კვლევის შედეგები 9 ფურც;
11. ფოტომასალა 24 ფოტო.

პროექტით, საკვლევ მოედანზე, უნდა აშენდეს მრავალბინიანი, თხუთმეტ-სართულიანი, ერთი სართული მიწისქვეშა ავტოსადგომით, საცხოვრებელი სახლი. მართკუთხა კონფიგურაციის, გაბარიტული ზომები დაზუსტდება მოგვიანებით. შენობის ტიპი რკინა-ბეტონის კარკასი. საძირკვლის სავარაუდო ტიპი ფილა. ობიექტის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით IV.

საკვლევი ტერიტორია განთავსებულია ქ. რუსთავში, XII მიკრო/რაიონი (მიწის ნაკვეთი ს/კ 02.02.04.555), მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. ზღვის დონიდან 341მ. სიმაღლეზე. მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევი მოედანზე გაყვანილია 4 ჭაბურღილი, თითოეული – 20.0 გრძ/მ. საერთო სიღრმით 80.0 გრძ/მ. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესასწავლად აღებული იქნა გრუნტის და წყლის ნიმუშები, რომლებზეც ჩატარებულია შესაბამისი ლაბორატორიული კვლევები.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე, როგორც წარმოდგენილი სვეტებიდან ჩანს, უბნის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას ღებულობენ შემდეგი სახის გრუნტები:

1. **შენა-1 – ნაყარი (ტიქნობენური) ბრუნტი** – გავრცელებულია ზედაპირიდან პირველ შრედ ტერიტორიის მთელ ფართზე, წარმოდგენილია თიხნაროვანი მასით, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნაგვის ნარჩენების ჩანართებით. ფენის სიმძლავრე 1.6მ-ს არ აღემატება. ნაყარი გრუნტის ფენა არ იქნა გამოყოფილი, როგორც საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი.

2. **შენა - 2 - სბმ I - ხრეშო** - საშუალოფრაქციული, ქვიშნარის 30%-მდე შემავსებლით, გავრცელებულია მთელ საკვლევ ტერიტორიაზე, მიწის ზედაპირიდან 0.7მ-დან 6.2-მ-მდე სიღრმის ინტერვალში.

- დეფორმაციის მოდული – $E=400$ კგძ/სმ²
- საანგარიშო წინაღობა – $R_0=6.0$ კგძ/სმ²;

3. **შენა - 3 - სბმ II – თიხა** - ნახევრად მყარი კონსისტენციის, მოწითალო-ყავისფერი, უანგისფერი ჩანაწინწკლებით (მაიკოპის წყება) – გავრცელებულია მთელ საკვლევ ტერიტორიაზე, მიწის ზედაპირიდან 2.7მ-დან გამოკვლეულ სიღრმემდე.

- გრუნტის სიმკვრივე – 1.84 გრ/სმ³;
- შიგა ხახუნის კუთხე 32⁰
- კუთრი შეჭიდულობა 50 კპა
- დეფორმაციის მოდული – $E=220$ კგძ/სმ²;
- საანგარიშო წინაღობა – $R_0=2.7$ კგძ/სმ²;
- პუასონის კოეფიციენტი 0.34

ანგარიშში მოცემულია საკვლევ ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და კლიმატური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული გრუნტების საინჟინრო-გეოლოგიური დახასიათება. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით გამოკვლეული უბანი მიეკუთვნება II საშუალო კატეგორიას.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ საკვლევ ობიექტზე გრუნტის წყალი გამოვლინდა მიწის ზედაპირიდან 3.8მ.-4.4მ-მდე სიღრმის ინტერვალში, დამყარდა 3.1მ.-3.7მ. სიღრმის ინტერვალში (სექტემბერი, 2024წ.) განსახილველი წყლის სინჯი ბეტონის მიმართ ავლენს სხვადასხვა ხარისხის აგრესიულობას.

ადგილის სეისმურობა თანახმად საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების რუქისა 8 ბალია. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი $A=0.12$. უბნის ამგები გრუნტები, სეისმური თვისებებით, მიეკუთვნება – II კატეგორიას.

საკვლევ მოედანზე საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის მანუქის მშენებლობას და მის შემდგომ ექსპლოატაციას,

მოსალოდნელი არ არის. ჩატარებული კვლევების შედეგად ავტორი იძლევა რეკომენდაციებს: გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების, ფენის სიმძლავრის და საძირკვლის სავარაუდო ტიპის გათვალისწინებით, ფუძის გრუნტად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც ხრეში-სგე I, ისე თიხა-სგე II, საძირკვლის ტიპად რეკომენდირებულია: ფილა. საძირკვლის ქვეშ უნდა მოეწყოს 0.5-0.6მ. სისქის ფენობრივად მოტკეპნილი ხრეშის ბალიში.

დასკვნა

ქ. რუსთავეში, XII მიკრო/რაიონი, კორპ. №21-ის მიმდებარედ, მიწის ნაკვეთზე ს/კ 02.02.04.555, მრავალბინიანი, თხუთმეტსართულიანი, ერთი სართული მიწისქვეშა ავტოსადგომით, საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით გამოყოფილ სამშენებლო მოედანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. დასასრულს ავლნიშნავთ რომ, წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას. იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს მშენებლობის პროექტს საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

გეოლოგია-მინერალოგიის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-
კორესპონდენტი, პროფესორი

/ი. მშვიდლობაძე/

CV - მშვიდობაძე ია

გვარი, სახელი, მამის სახელი	
მისამართი	
ტელეფონის ნომერი	
ელექტრონული მისამართი	
დაბადების თარიღი	
განათლება	1984 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით;
მინიჭებული კვალიფიკაცია	2003 წელს გეოლოგია მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი (დიპლომი) 2019 წლიდან საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1984 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების" მონარტული პროფესორი, აკადემიური დოქტორი; 2003-2008 წლებში სამშენებლო კომპანია "იმკ-91" მშენებელ-ინჟინერი. 2018 წლიდან შპს "რეალექსპერტი"-ს ექსპერტი გეოლოგიის დარგში.
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	<p>გამოქვეყნებული მაქვს 25 სამეცნიერო შრომა, მეთოდური მითითება და სახელმძღვანელოები: "საინჟინრო ნაგებობები"-2011წ; "ჰიდროტექნიკური მშენებლობა" 2016; მეთოდური მითითება "შენობა-ნაგებობათა ტექნიკური ექსპლოატაცია (გვეთის ანგარიში)"; "მეთოდური მითითება გრუნტების მექანიკის ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად" 2018; "შენობა ნაგებობების ტექნიკური ექსპლოატაცია" 2018. შესწავლილი და ანგარიში დაწერილი მაქვს: "ქ.თბილისში, თემქის დასახლებაში, XI მ/რ-ნი, III კვარტალი A კორპუსის მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა" - 2015წელი; "ქ. გორში, რკინიგზის სადგურის დასახლებაში მარაბდელის ქუჩის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა"; "ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ. #103-ში ამხანაგობა "დადიანის 103"-ის საკუთრებაში არსებულ #064/009 ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი" ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები"; 2018წ; ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ძირაგულში, კოპერატივ "ალვაზის" ღვინის ქარხნის მშენებლობისათვის, ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური მიწის ტექნიკური ანგარიში 2018წ; ქ. თბილისში, თეოს ქუჩაზე, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის (ს.კ. 01.10.13.033.923; 01.10.13.033.119; 01.10.13.033.118; 01.10.13.033.366) წინასწარი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა 2018წ; ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, რკინიგზის ჩიხი #20, ნაკვ. #01.19.21.002.186 საწარმო-სასაწყობე შენობის პროექტის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა 2018წ; "ქ. თბილისში, ტ. ტაბიძის ქ.#90-ში, 8 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა" 2018წ; ქ. ბათუმში, დასახლება ანგისასა და დასახლება ადლიაში (ს/კ 05.32.12.050) 15 სართულიანი სასტუმროს მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევა, 2019წ; ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, IV მკრ. კორპუსი №424 მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.19.39.002.065 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით, მოედანზე არსებული საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა. "2019. დასხვა. საექსპერტო შეფასება ანგარიშზე: "საშულა" ჰესის კასკადის სამშენებლო მოედნის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა 2019წ. გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №81.12.11.697) მარცვლეულის შესანახი სახილოსე ნაგებობების მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა 2020. ქ. თბილისში, ვაზისუბნის, III მკრ. II კვ. კორ. #16-ის მიმდებარედ, ნაკვეთზე ს/კ 01.17.07.011/068 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობასთან დაკავშირებით, მოედანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები 2020. ქალაქ ამბროლაურში, ვაჟა-ფშაველას ქუჩა #15-ში, ნაკვ. #86.19.28.071 საწყობის შენობის მშენებლობისათვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები "2020. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაკვეთით 2020-2022 წლებში ათეულობით საზაფშო ბაღის, სკოლისა თუ პროფესიული სასწავლებლის მშენებლობისათვის გეოლოგიური დასკვნების ექსპერტიზები; ასევე I-II-III, თუ IV კატეგორიის შენობა ნაგებობებისათვის: მაღალი ძაბის სადგურების, გადამცემი ანძების, წყალმიმღები სატუმბო სადგურების, ელექტროსადგურების, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებისათვის თბილისსა, თუ ბათუმში, შესრულებული გეოლოგიური საექსპერტო შეფასებები; "მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II საქართველო" -ს ფარგლებში (კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონები) შესრულებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების საექსპერტო შეფასებები 2022წ. და სხვა მრავალი. აღებული მაქვს პატენტი გამოგონება "ბეტონის საყრდენი კედლების კონტრფორსების მოწყობა ჰორიზონტალურად განლაგებული ხიმინჯების საშუალებით".</p>
უცხო ენების ცოდნა	